საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ქ. თბილისი **2020 წლის 09 სექტემბერი**

დისციპლინური საქმე №189/18
მოსამართლე -- -- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე

-- -- 2018 წლის 11 ივლისის №-- და 12 ივლისის №-- საჩივრების საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 75^6 მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

დისციპლინური საქმეები №-- და №-- მოსამართლე -- -- მიმართ გაერთიანდა ერთ წარმოებად და დისციპლინურ საქმეს მიენიჭა №--.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2018 წლის 5 ნოემბრის №189/18 დასკვნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს განსახილველად წარედგინა 2020 წლის 9 სექტემბრის სადისციპლინო სხდომაზე.

1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივარში მითითებულ შემდეგ ფაქტებზე:

საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ 2016 წლის 9 აგვისტოს -- -- სასამართლოს სარჩელით მიმართა -- --, მოპასუხეების -- -- და -- -- მიმართ, თანხის დაკისრების მოთხოვნით. 2016 წლის 14 სექტემბრის განჩინებით, -- -- აეკრძალა კუთვნილი ქონების გასხვისება. 2017 წლის 14 სექტემბრის განჩინებით მხარეთა შორის დამტკიცდა მორიგება. -- -- განცხადების საფუძველზე 2017 წლის 2 ნოემბერს გაუქმდა სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განჩინება, რომელიც -- -- დირექტორის მიერ გასაჩივრდა 2017 წლის 21 ნოემბერს. საჩივრის ავტორისთვის გაუგებარია ვინ მოაწერა ხელი წარმოდგენილ საჩივარს, მაშინ როდესაც დირექტორი -- -- იმყოფებოდა თურქეთში.

2018 წლის 24 ნოემბრის განჩინებით -- -- საჩივარზე დაუდგინდა ხარვეზი და განესაზღვრა ვადა მის აღმოსაფხვრელად. ხარვეზის შესახებ განჩინება -- -- გაეგზავნა სარჩელში მითითებულ მისამართზე, სადაც ჩაიბარა საადვოკატო ბიუროს წარმომადგენელმა -- --. მიუხედავად იმისა, რომ მისი რწმუნებულება ერთვის საქმეს და იგი ვადიანია, მოსამართლემ -- -- ჩათვალა, რომ განჩინება ჩაბარდა არაუფლებამოსილ პირს. მარტის თვეში განჩინება გაიგზავნა თურქეთში. განჩინება არასწორი მისამართის გამო არ ჩაბარდა ადრესატს. სასამართლო ადრესატს განჩინება ჩააბარა საჯარო შეტყობინების გზით.

საჩივრის ავტორის განმარტებით, ის დიდი ხნის განმავლობაში უკავშირდებოდა მოსამართლეს რათა მიეღო კანონიერ ძალაში შესული განჩინება, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების თაობაზე, თუმცა მისთვის გაურკვეველი მიზეზის გამო საქმე გადაიგზავნა -- -- სასამართლოში.

საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ გასულია 8 თვე და მოსამართლემ არ აძლევს მას კანონიერ ძალაში შესულ განჩინებას.

2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილ ფაქტობრივი გარემოებები:

2016 წლის 9 აგვისტოს -- -- სასამართლოს სარჩელით მიმართა -- --, მოპასუხეების - -- -- და -- -- მიმართ, თანხის (66,861 ლარი) დაკისრების მოთხოვნით.

2016 წლის 14 სექტემბრის განჩინებით, სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით მოპასუხე -- -- აეკრძალა მის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (მდებარე მისამართზე: -- --) გასხვისება.

2017 წლის 14 სექტემბრის განჩინებით -- -- და -- -- და -- -- შორის დამტკიცდა მორიგება.

2017 წლის 20 ოქტომბერს -- -- -- -- სასამართლოს მიმართა განცხადებით სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების თაობაზე.

2017 წლის 2 ნოემბრის განჩინებით, გაუქმდა -- -- სასამართლოს 2016 წლის 14 სექტემბრის განჩინებით გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, რომლითაც -- -- (პირადი ნომერი --) აეკრძალა მის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების მდებარე მისამართზე -- --, ს/კ -- გასხვისება.

2017 წლის 2 ნოემბრის განჩინება -- -- დირექტორმა -- -- გაასაჩივრა 2017 წლის 21 ნოემბერს.

2017 წლის 24 ნოემბრის განჩინებით, -- -- დირექტორს -- -- საჩივარში ხარვეზის შესავსებად განესაზღვრა განჩინების ასლის ჩაბარებიდან 7 დღის ვადა.

2017 წლის 28 ნოემბერს განჩინება გაიგზავნა -- -- მისამართზე (--,-- --), გზავნილში მითითებულია, რომ 2017 წლის 1 დეკემბერს განჩინება ჩაბარდა -- --, ორგანიზაციის წარმომადგენელს (იხ. რწმუნებულება 22 გვ.).

საქმის მასალებით დასტურდება, რომ -- -- დირექტორმა წარადგინა განცხადება, სადაც განმარტა, რომ ვინაიდან კომპანიის სათავო ოფისი აღარ ფუნქციონირებს, კომპანიას არ ყავს წარმომადგენელი საქართველოში, ამდენად ყველა სახის დოკუმენტაცია უნდა გაიგზავნოს თურქეთის რესპუბლიკაში.

სასამართლომ ხარვეზის შესახებ განჩინება 2018 წლის 12 თებერვალს გააგზავნა თურქეთის რესპუბლიკაში, 2018 წლის 20 მარტის პასუხად ცნობილი გახდა, რომ გზავნილი (24.11.2017 წლის განჩინება, ხარვეზის შესახებ) არასწორი მისამართის გამო ადრესატს ვერ ჩაბარდა.

სასამართლოს მიერ დამატებით მოხდა განჩინების გაგზავნა მისთვის ცნობილ რამდენიმე მისამართზე, თუმცა ადრესატზე გზავნილი ვერ ჩაბარდა. 2018 წლის 17 მაისის განჩინებით -- -- საჯარო შეტყობინების გზით ეცნობა -- -- სასამართლოს 2017 წლის 24 ნოემბრის განჩინების შესახებ. განჩინება მხარეს ჩაბარდა 2018 წლის 11 ივნისს.

2018 წლის 31 ოქტომბრის განჩინებით, -- -- საჩივარი -- -- სასამართლოს 2017 წლის 2 ნოემბრის განჩინებაზე ცნობილ იქნა დაუშვებლად და საქმესთან ერთად გადაიგზავნა -- -- სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაში. -- -- სასამართლოს 2018 წლის 9 ნოემბრის განჩინებით -- -- საჩივარი -- -- სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 2 ნოემბრის განჩინებაზე დარჩა განუხილველი. განჩინება არ საჩივრდება, შესაბამისად შესულია კანონიერ ძალაში.

3. დამოუკიდებელი ინსპექტორის დასკვნა:

-- -- 2018 წლის 11 ივლისის №-- საჩივრისა და 2018 წლის 12 ივლისის №-- საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები არ შეიცავს

მოსამართლე -- -- მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ნიშნებს (2019 წლის 31 დეკემბრამდე მოქმედი რედაქცია).

4. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

4.1. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომად ჩაითვლება - „მოსამართლის მიერ საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ვადის არასაპატიო მიზეზით არსებითად დარღვევა.“

განსახილველ შემთხვევაში იმისათვის, რომ სრულყოფილად შეფასდეს საჩივრის საფუძველზე გამოკვლეული ფაქტობრივი გარემოებები შეიცავენ თუ არა მოსამართლის მიერ შესაბამისი პუნქტით განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს, აუცილებელია განისაზღვროს თავისი არსით რას წარმოადგენს - საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ვადის არასაპატიო მიზეზით არსებითად დარღვევა. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 ნაწილის „ვ.ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ვადის დარღვევის მიზეზი არასაპატიოდ არ ჩაითვლება, თუ მოსამართლემ აღნიშნული ვადის დაცვა ობიექტურ გარემოებათა (საქმის სიმრავლე, საქმის სირთულე და სხვა) გამო ვერ შეძლო. არსებითად დარღვევად უნდა ჩაითვალოს მოსამართლის მიერ მხარის კონსტიტუციური, ასევე ფუნდამენტური საპროცესო უფლებების ან სამართლიანი პროცესის ძირითადი გარანტიების დარღვევა, რამაც ზიანი მიაყენა მხარის, სასამართლოს ან საჯარო ინტერესს.

ვადებს მნიშვნელოვანი წესრიგი შეაქვს სამართლიანი სასამართლოს უფლებით სარგებლობის პროცესში. ვადა მნიშვნელოვან საჯარო ინტერესებს ემსახურება, როგორებიცაა: ეფექტური, ობიექტური და სამართლიანი მართლმსაჯულების უზრუნველყოფა; სამართლებრივი უსაფრთხოების, გასნაზღვრულობის, სამოქალაქო ურთიერთობებში წესრიგის და სტაბილურობის დამყარება.[1]

მოსამართლის მიერ საქმის განხილვის შესაძლო ვადის დარღვევაზე მსჯელობისას აუცილებელია ყურადღება მიექცეს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლს (რომელიც მოიცავს სამართლიანი სასამართლოს მიერ საქმის გონივრულ ვადაში განხილვის უფლებას) და იმ კრიტერიუმებს, რასაც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო იყენებს მე-6 მუხლის დარღვევის დადგენის დროს (საქმის განხილვის გონივრული ვადის დარღვევის გამო).

მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპების 6.5. მუხლის მიხედვით მოსამართლემ ყველა სამოსამართლო ფუნქცია, მათ შორის გადადებულ გადაწყვეტილებათა მიღება უნდა განახორციელოს ეფექტურად, სამართლიანად და გონივრული სისწრაფით. ამასთან, „საქმეების სამართლიანად და გულდასმით განხილვის ვალდებულება არ ეწინააღმდეგება საქმეთა საკმარისად სწრაფად განხილვისა და გადაწყვეტის ვალდებულებას. მოსამართლის უპირველესი ვალია სამოსამართლო უფლებამოსილების შესრულება, რომელთა ძირითადი ელემენტიც არის საქმეების განხილვა და გადაწყვეტილების გამოტანა. გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთება მოსამართლემ უსაფუძვლო დაგვიანების გარეშე უნდა გამოაცხადოს.“

მოცემულ შემთხვევაში, უნდა აღინიშნოს, 2017 წლის 24 ნოემბრის განჩინების ასლი საჩივრის ავტორს გაეგზავნა მის მიერ მითითებულ მისამართზე. 2017 წლის 1 დეკემბერს ხარვეზის შესახებ განჩინება ჩაბარდა კომპანიის წარმომადგენელს -- --, რომლის რწმუნებულებას ვადა ჰქონდა გასული 2018 წლის 1 აგვისტოს (იხ. რწმუნებულება 22 გვ.). ამდენად მოსამართლემ არ ჩათვალა, რომ -- -- წარმოადგენდა უფლებამოსილ პირს ჩაებარებინა სასამართლოს განჩინება. საჩივრის ავტორმა, -- -- დირექტორმა, 2018

[1] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება №3/1/531

წლის 12 თებერვალს სასამართლოს წარუდგინა განცხადება და მიუთითა, რომ სასამართლო გზავნილები მისთვის გაეგზავნათ თურქეთის რესპუბლიკაში, ვინაიდან მას არ ჰქონდა სათვაო ოფისი საქართველოში და არც წარმომადგენელი ჰყავდა. სწორედ მხარის ინტერესების გათვალისწინებით სასამართლომ მიზანშეწონილად მიიჩნია ხარვეზის შესახებ განჩინება გაეგზავნა მხარის მიერ მითითებულ მისამართზე. რამდენიმე ცდის მიუხედავად, განჩინება ადრესატს ვერ ჩაბარდა, რის გამოც მოსამართლემ მიიღო განჩინება საჯარო შეტყობინების შესახებ. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლის თანახმად, „თუ მხარის ადგილსამყოფელი უცნობია ან მისთვის სასამართლო უწყების ჩაბარება სხვაგვარად ვერ ხერხდება, სასამართლო უფლებამოსილია გამოიტანოს განჩინება სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ. სასამართლო შეტყობინება საჯაროდ ვრცელდება შესაბამისი სასამართლოს შენობაში თვალსაჩინო ადგილზე ან ვებგვერდზე განთავსებით ან დაინტერესებული მხარის მოთხოვნის შემთხვევაში – მისივე ხარჯებით იმ გაზეთში, რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელი ადგილის შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში, ან ინფორმაციის სხვა საშუალებებში გამოქვეყნებით.“

მოსამართლემ სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის დაცვით განახორციელა ადრესატისათვის განჩინების გაგზავნა, ხოლო ჩაუბარებლობის გამო მიიღო შესაბამისი განჩინება. მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ მოსამართლემ საჩივრის ზემდგომ ინსტანციაში გადაგზავნას მოანდომა 10 თვემდე ვადა, უნდა აღინიშნოს, რომ მისი მხრიდან ამ პერიოდის განმავლობაში შესრულდა არაერთი საპროცესო მოქმედება, რასაც ესაჭიროებოდა გარკვეული ვადები და რამაც გამოიწვია საჩივრის განხილვის ვადის გაჭიანურება. გამომდინარე იქიდან, რომ საჩივრის ავტორმა არ შეავსო 2017 წლის 24 ნოემბრის განჩინებით გათვალისწინებული ხარვეზი, მოსამართლემ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 197[1]-ე მუხლის მეორე პუნქტის საფუძველზე მიიღო განჩინება საჩივრის დაუშვებლად ცნობისა და ზემდგომ ინსტანციაში გადაგზავნის თაობაზე.

გამომდინარე იქიდან, რომ კონკრეტულ შემთხვევაში მოსამართლე მოქმედებდა მხარეთა ინტერესებისა და კანონმდებლობით განსაზღვრული ნორმების დაცვით, მისი ქმედება ვერ ჩაითვლება დისციპლინურ გადაცდომად.

4.2. რაც შეეხება საჩივრის ავტორის მითითებას იმ გარემოებაზე, თუ როგორ მოაწერა ხელი -- -- დირექტორმა საჩივარს, მაშინ როდესაც იგი იმყოფებოდა თურქეთის რესპუბლიკაში, ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ როგორც საქმის მასალებიდან იკვეთება -- -- დირექტორმა -- --, აღნიშნული საჩივარი გადმოაგზავნა ფოსტით (აღნიშნული დასტურდება კონვერტით), რაც ბუნებრივია არ გამორიცხავს ხელმოწერის შესაძლებლობას.

5. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[12] მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ისა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად მიიჩნია, რომ არ არსებობს „საერთო სასამართლოების შესახებ“

საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი. შესაბამისად, 2020 წლის 9 სექტემბრის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად (სადისციპლინო სხდომაზე დამსწრე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 11 წევრთაგან - 11 ხმით), მიიჩნია, რომ მოსამართლე -- -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით, 75[12] მუხლის მეორე პუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

დისციპლინურ საქმეზე №189/18 მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი